

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კ ა ნ ო ნ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ

თ ა ვ ი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

ეს კანონი განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების სახეებს, მათ იერარქიას, ნორმატიული აქტების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის ზოგად წესებს.

მუხლი 2.

1. ამ კანონის მიღების სამართლებრივი საფუძველია “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ” საქართველოს კონსტიტუციური კანონი, “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტები.

2. ამ კანონით გამოყენებულ სიტყვებში – მთავრობა, მთავრობის თავმჯდომარე, უმაღლესი საბჭო, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, სამინისტრო, უმაღლესი საარჩევნო კომისია, მინისტრი – იგულისხმება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოები და თანამდებობის პირები, ხოლო “საქართველოს საკანონმდებლო მაცნე” – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე”. (10.08.2010 N82)

3. ამ კანონით გამოყენებულ სიტყვებში – კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, კანონი, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი, სამართლებრივი აქტი, ნორმატიული აქტი, იგულისხმება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ მიღებული (გამოცემული) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, კანონი, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი, სამართლებრივი აქტი, ნორმატიული აქტი. (24. 03. 2005 წ. N6; გაზეთი “აჭარა”, 05. 04. 2005 წ. N60)

მუხლი 3.

1. სამართლებრივი აქტი არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) და შესასრულებლად სავალდებულო აქტი.

2. სამართლებრივი აქტი ორი სახისაა – ნორმატიული და ინდივიდუალური.

3. ნორმატიული აქტი არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების, ქცევის ზოგად წესებს.

4. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ერთჯერადია და უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ აქტს. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი მიიღება (გამოიცემა) მხოლოდ ნორმატიული აქტის საფუძველზე და ნორმატიული აქტით დადგენილ ფარგლებში. (15.12.2011 N 150–უ.ს.შ.ს.)

5. დაუშვებელია ნორმატიული შინაარსის სამართლებრივი აქტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის სახით მიღება (გამოცემა) და ინდივიდუალური შინაარსის სამართლებრივი აქტის ნორმატიული აქტის სახით მიღება (გამოცემა).

მუხლი 4.

ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) უფლება აქვთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოებს და თანამდებობის პირებს საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

მუხლი 5. (24. 03. 2005 წ. N6; გაზეთი "აჭარა", 05. 04. 2005 წ. N60)

ნორმატიული აქტებია: კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, კანონი, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი, უმაღლესი საბჭოს ნორმატიული ხასიათის დადგენილება (შემდგომში – დადგენილება), მთავრობის დადგენილება, მინისტრის ნორმატიული ხასიათის ბრძანება (შემდგომში – ბრძანება) და უმაღლესი საარჩევნო კომისიის დადგენილება.

მუხლი 6.

1. საკანონმდებლო აქტებია: კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, კანონი, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი. (24. 03. 2005 წ. N6; გაზეთი "აჭარა", 05. 04. 2005 წ. N60)

2. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებია: უმაღლესი საბჭოს დადგენილება, მთავრობის დადგენილება, მინისტრის ბრძანება, უმაღლესი საარჩევნო კომისიის დადგენილება.

3. საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ქმნიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობას.

მუხლი 7.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა მუშაობის წესი, სტრუქტურა, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და უფლებამოსილება განისაზღვრება საკანონმდებლო აქტებით, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით და მათ საფუძველზე მიღებული (გამოცემული) კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. (24. 03. 2005 წ. N6; გაზეთი "აჭარა", 05. 04. 2005 წ. N60)

2. უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულება და სტრუქტურა მტკიცდება უმაღლესი საბჭოს დადგენილებით. (24. 03. 2005 წ. N6; გაზეთი "აჭარა", 05. 04. 2005 წ. N60)

3. მთავრობის რეგლამენტი, მთავრობის აპარატის, სამინისტროსა და საქვეუწყებო დაწესებულების დებულება და სტრუქტურა მტკიცდება მთავრობის დადგენილებით.

4. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების დებულებასა და სტრუქტურას ამტკიცებს მთავრობა, ხოლო სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების დებულებასა და სტრუქტურას შესაბამისი მინისტრის წარდგინებით – მთავრობა. (05. 08. 2005 წ. N24; გაზეთი "აჭარა", 17. 08. 2005 წ. N154)

5. სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს დებულება და სტრუქტურა ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის წარდგინებით მტკიცდება მინისტრის ბრძანებით; სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების ტერიტორიული ორგანოს დებულება და სტრუქტურა საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელის წარდგინებით მტკიცდება მინისტრის ბრძანებით; მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების ტერიტორიული ორგანოს დებულება და სტრუქტურა მტკიცდება მთავრობის დადგენილებით. (27. 09. 2005 წ. N33; გაზეთი "აჭარა", 30. 09. 2005 წ. N189)

6. უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის სტრუქტურა, საქმიანობის წესი და უფლებამოსილება განისაზღვრება უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტით, რომელიც მტკიცდება უმაღლესი საარჩევნო კომისიის დადგენილებით.

მუხლი 8.

1. ნორმატიული აქტი მოქმედებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, თუ თვით ამ ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი და სავალდებულოა შესასრულებლად.

2. ნორმატიული აქტი მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით, თუ თვით ამ ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 8¹. (15.12.2011 N 150–უ.ს.შ.ს.)

ნორმატიული აქტი (პროექტი) უნდა მომზადდეს, გამოიცეს და გამოქვეყნდეს ქართულ ენაზე. ნორმატიული აქტი შეიძლება გამოქვეყნდეს არასახელმწიფო ენაზეც, მაგრამ ასეთ ტექსტს არა აქვს ოფიციალური ძალა.

მუხლი 9.

1. დაუშვებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების მიერ თავიანთ უფლებამოსილებათა გადაცემა იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომელთა მოწესრიგებაც “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ” საქართველოს კონსტიტუციური კანონის თანახმად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება.

2. დაუშვებელია უმაღლესი საბჭოს მიერ თავის უფლებამოსილებათა გადაცემა იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომელთა მოწესრიგებაც კანონმდებლობის თანახმად კონსტიტუციით, კონსტიტუციური კანონით, კანონით, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით და უმაღლესი საბჭოს დადგენილებით არის გათვალისწინებული. (24. 03. 2005 წ. N6; გაზეთი “აჭარა”, 05. 04. 2005 წ. N60)

3. დაუშვებელია მთავრობის მიერ თავის უფლებამოსილებათა გადაცემა იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომელთა მოწესრიგებაც კანონმდებლობის თანახმად მთავრობის დადგენილებით არის გათვალისწინებული.

თ ა ვ ი II.

ნორმატიული აქტების მიღების უფლებამოსილების მქონე ორგანოები და ნორმატიული აქტების იერარქია

მუხლი 10. (24. 03. 2005 წ. N6; გაზეთი “აჭარა”, 05. 04. 2005 წ. N60)

1. უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი ნორმატიული აქტები: კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, კანონი, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი და უმაღლესი საბჭოს დადგენილება.

1¹. კონსტიტუცია მიიღება უმაღლესი საბჭოს მიერ სრული შემადგენლობის ორი მესამედით და ძალაში შედის “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს ორგანული კანონის ამოქმედებისთანავე; (21. 03. 2007 წ. N240; გაზეთი “აჭარა”, 29. 03. 2007 წ. N49)

2. კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა ხდება უმაღლესი საბჭოს მიერ კონსტიტუციური კანონის სახით და იგი კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია. (3.07.2012 N №168–უ.ს.რ.ს.)

3. კანონი შეიძლება მიღებულ იქნეს “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ” საქართველოს კონსტიტუციური კანონით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებული გამგებლობისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე, ასევე საქართველოს საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში. (19. 09. 2007 წ. N263; გაზეთი “აჭარა”, 27. 09. 2007 წ. N135)

4. უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტია, რომლის მომზადება და მიღება ხდება კანონის მომზადებისა და მიღებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად. უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით განისაზღვრება უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება, შინაგანი სტრუქტურა, მუშაობისა და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ურთიერთობის წესი. უმაღლესი საბჭოს რეგლამენტს ხელს აწერს და აქვეყნებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.”

5. არანორმატიულია უმაღლესი საბჭოს მხოლოდ ის დადგენილება, რომელიც საკადრო და პერსონალურ საკითხებს ეხება.

მუხლი 11. (05. 08. 2005 წ. N24; გაზეთი “აჭარა”, 17. 08. 2005 წ. N154)

1. მთავრობის ნორმატიული აქტია დადგენილება. მთავრობის დადგენილების იურიდიული ძალა განისაზღვრება ამ კანონით. მთავრობის დადგენილება მიიღება საქართველოს ნორმატიული აქტებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად.

2. მთავრობის დადგენილებაში უნდა მიეთითოს საქართველოს რომელი ნორმატიული აქტის ან/და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რომელი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად გამოიცა იგი.

3. ამოღებულია. (19. 09. 2007 წ. N263; გაზეთი “აჭარა”, 27. 09. 2007 წ. N135)

4. მთავრობის დადგენილებას ხელს აწერს მთავრობის თავმჯდომარე.

მუხლი 12.

1. მინისტრის ბრძანება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტია, რომლის იურიდიული ძალაც განისაზღვრება ამ კანონით.

2. მინისტრის ბრძანება შეიძლება გამოიცეს მხოლოდ საქართველოს ნორმატიული აქტით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტითა და მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. მინისტრის ბრძანებით არ შეიძლება გადაწყდეს საკითხი, რომლის მოწესრიგებაც გათვალისწინებულია საკანონმდებლო აქტით ან მთავრობის დადგენილებით.

3. ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს, რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად გამოიცა იგი.

4. სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი ორგანოების სამართლებრივი აქტები, რომლებიც ნორმატიული ხასიათისაა (ინსტრუქცია, დებულება, დირექტივა, მითითება, წესი და ა.შ.), უნდა გამოიცეს მინისტრის ბრძანების სახით.

5. სამინისტროს სისტემაში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებს, ტერიტორიულ ორგანოებს, საქვეუწყებო დაწესებულებებსა და მთავრობის მიერ შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს არა აქვთ ნორმატიული აქტების მიღების (გამოცემის) უფლება. (19. 09. 2007 წ. N263; გაზეთი “აჭარა”, 27. 09. 2007 წ. N135)

6. ორმა ან ორზე მეტმა მინისტრმა შეიძლება გამოსცეს ერთობლივი (სამინისტროთაშორისო) ბრძანება, რომლის მომზადების, გამოცემის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების წესი განისაზღვრება ამ კანონით. (19. 09. 2007 წ. N263; გაზეთი “აჭარა”, 27. 09. 2007 წ. N135)

მუხლი 12¹ (22. 04. 2009 წ. N36; გაზეთი "აჭარა", 28-29. 04. 2009 წ. N46)

1. მინისტრის ბრძანების პროექტი წინასწარი სამართლებრივი ექსპერტიზისათვის გადაეცემა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატს. მთავრობის აპარატი მინისტრის ბრძანების პროექტის გადაცემიდან შვიდი დღის ვადაში გასცემს დასკვნას ნორმატიული აქტის პროექტის უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის თაობაზე. მთავრობის აპარატის დასაბუთებული უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში მინისტრის ბრძანების პროექტი შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

2. თუ მთავრობის აპარატი მისთვის ნორმატიული აქტის პროექტის გადაცემიდან 7 დღის ვადაში არ გასცემს შესაბამის დასკვნას, მინისტრის ბრძანების პროექტი ჩაითვლება მთავრობის აპარატის მიერ მოწონებულად, ხოლო მთავრობის აპარატის დადებითი დასკვნა მიღებულად.

3. წინასწარი სამართლებრივი ექსპერტიზის დროს გაცემულ მთავრობის აპარატის დასკვნას მინისტრის ნორმატიული აქტების მიმართ აქვს სავალდებულო ხასიათი.

მუხლი 13. (05. 08. 2005 წ. N24; გაზეთი "აჭარა", 17. 08. 2005 წ. N154)

1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის ნორმატიული აქტია დადგენილება (გარდა იმ დადგენილებებისა, რომლებიც შეეხება საკადრო და პერსონალურ, აგრეთვე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს), რომლის იურიდიული ძალა განისაზღვრება ამ კანონით.

2. უმაღლესი საარჩევნო კომისიის დადგენილება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში. (19. 09. 2007 წ. N263; გაზეთი "აჭარა", 27. 09. 2007 წ. N135)

მუხლი 14.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტებისათვის იურიდიული ძალის მიხედვით დადგენილია შემდეგი იერარქია:

ა) კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი;

ბ) კანონი, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი; (24. 03. 2005 წ. N6; გაზეთი "აჭარა", 05. 04. 2005 წ. N60)

გ) უმაღლესი საბჭოს დადგენილება, მთავრობის დადგენილება;

დ) მინისტრის ბრძანება, უმაღლესი საარჩევნო კომისიის დადგენილება.

2. კონსტიტუცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი კანონია. მას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა სამართლებრივი აქტების მიმართ.

3. კანონს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა კანონქვემდებარე აქტების მიმართ.

მუხლი 15.

1. თითოეული ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულ (გამოცემულ) იმ ნორმატიულ აქტებს, რომლებსაც მასთან შედარებით აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა.

2. ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას უპირატესობა ეძლევა იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ ნორმატიულ აქტს.

3. იერარქიის ერთი და იგივე საფეხურის ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას მოქმედებს უფრო გვიან მიღებული (გამოცემული) აქტით დადგენილი ნორმა.

მუხლი 16.

1. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანო ან თანამდებობის პირი ნორმატიული აქტის გამოყენებასთან დაკავშირებით დაადგენს, რომ სხვადასხვა ნორმატიულ აქტთა ნორმები ეწინააღმდეგება ერთმანეთს, იგი ვალდებულია გამოიყენოს ის ნორმატიული აქტი, რომელსაც აქვს უპირატესი იურიდიული ძალა.

2. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანო ან თანამდებობის პირი ნორმატიული აქტის გამოყენებასთან დაკავშირებით დაადგენს, რომ ერთი და იგივე სახის ნორმატიულ აქტთა ნორმები ეწინააღმდეგება ერთმანეთს, იგი ვალდებულია გამოიყენოს ის ნორმატიული აქტი, რომელიც უფრო გვიან არის მიღებული (გამოცემული).

თ ა ვ ი III.N

ნორმატიული აქტების მომზადების, მიღების, გამოქვეყნებისა და მოქმედების ზოგადი წესები

მუხლი 17.

1. კონსტიტუციის, კონსტიტუციური კანონის, კანონის, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტისა და უმაღლესი საბჭოს დადგენილების მომზადების, მიღების, გამოქვეყნებისა და მოქმედების წესი განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, ამ კანონითა და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით. (21. 03. 2007 წ. N240; გაზეთი „აჭარა“, 29. 03. 2007 წ. N49)

2. მთავრობის დადგენილებისა და მინისტრის ბრძანების მომზადების, გამოცემის, გამოქვეყნებისა და მოქმედების წესი განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, ამ კანონითა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით. (19. 09. 2007 წ. N263; გაზეთი „აჭარა“, 27. 09. 2007 წ. N135)

3. უმაღლესი საარჩევნო კომისიის დადგენილების მომზადების, გამოცემის, გამოქვეყნებისა და მოქმედების წესი განისაზღვრება ამ კანონით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონითა და უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტით. (19. 09. 2007 წ. N263; გაზეთი „აჭარა“, 27. 09. 2007 წ. N135)

4. ამოღებულია. (21. 03. 2007 წ. N244; გაზეთი „აჭარა“, 29. 03. 2007 წ. N49)

მუხლი 17¹ (15.12.2011 N 150–უ.ს.შ.ს.)

ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ ნორმატიული აქტის შედგენა, გაგზავნა ან გადაცემა ხორციელდება მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით.

მუხლი 18.

ნორმატიული აქტის პროექტში განისაზღვრება:

ა) ნორმატიული აქტები, რომლებიც უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად ამ ნორმატიული აქტის მიღების, (გამოცემის) შემთხვევაში.

ბ) ნორმატიული აქტები, რომელთა მიღება (გამოცემა) საჭიროა ამ ნორმატიულ აქტთან დაკავშირებით, მათი მიღების (გამოცემის) ვადა და მიმღები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) დასახელება.

მუხლი 19.

1. კანონპროექტს უნდა დაერთოს განმარტებითი ბარათი, რომელშიც აისახება: (16.05.2013 N 55-უ.ს.გ.ს.)

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ. მასში აღინიშნება:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება. მასში აღინიშნება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

გ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები. მასში აღინიშნება:

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ) კანონპროექტის ავტორი;

ე) კანონპროექტის ინიციატორი.

1¹. კანონპროექტს ასევე უნდა დაერთოს: (15.12.2011 N 150-უ.ს.შ.ს.)

ა) კანონპროექტი სხვა საკანონმდებლო აქტში იმ ცვლილების შეტანის შესახებ, რომელსაც გამოიწვევს კანონპროექტის მიღება; (3.07.2012 N №168-უ.ს.რ.ს.)

ა¹) კანონპროექტს ასევე უნდა დაერთოს იმ მუხლის (მუხლების) მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც (რომლებშიც) წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება, მათ შორის, ხდება მისი (მათი) ამოღება; (16.05.2013 N 55-უ.ს.გ.ს.)

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დასკვნა იმ ნორმატიული აქტების პროექტებზე, რომელიც შეეხება საფინანსო ან/და ეკონომიკურ საკითხებს;

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა იმ დაწესებულების დასკვნა, რომელთა მმართველობის სფეროსაც განეკუთვნება ნორმატიული აქტის პროექტით მოსაწესრიგებელი საკითხები.

1². აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიის საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილ კანონპროექტს უნდა დაერთოს ამონაწერი კომისიის სხდომის ოქმიდან, რომელშიც მითითებულია მისი წარდგენის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება. (15.12.2011 N 150-უ.ს.შ.ს.)

1³. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილ კანონპროექტს უნდა დაერთოს მთავრობის სხდომის ოქმის ამონაწერი, რომელშიც მითითებულია მისი წარდგენის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება. (15.12.2011 N 150-უ.ს.შ.ს.)

1⁴. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტს უნდა დაერთოს: (15.12.2011 N 150-უ.ს.შ.ს.)

ა) განმარტებითი ბარათი, რომელშიც აისახება ნორმატიული აქტის პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი, მისი დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები, იმ შედეგების

საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა). განმარტებით ბარათში აღინიშნება აგრეთვე ნორმატიული აქტის პროექტის ავტორი (ავტორები) და წარმდგენი;

ბ) პროექტი სხვა ნორმატიულ აქტში იმ ცვლილების შეტანის შესახებ, რომელსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა); (3.07.2012 N №168-უ.ს.რ.ს.)

გ) კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ორგანოს დასკვნა წარდგენილი პროექტის უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ.

2. თუ ნორმატიული აქტის პროექტს ერთვის ტაბულები, გრაფიკები, რუკები, სქემები, დოკუმენტების ნიმუშები და მსგავსი სახის სხვა დოკუმენტები, როგორც წესი, უნდა მოთავსდეს დანართში, რაც მითითებული უნდა იყოს პროექტის შესაბამის პუნქტში.

3. ნორმატიულ აქტში დაუშვებელია ტერმინების შემოკლებული ფორმების გამოყენება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნორმატიული აქტის ტექსტში მითითებულია სათანადო აღნიშვნა ტერმინის შემოკლებული ფორმის შემდგომი გამოყენების თაობაზე.

4. ამ მუხლით განსაზღვრული დოკუმენტები ნორმატიული აქტის პროექტს უნდა დაერთოს ნორმატიული აქტის პროექტის წარდგენამდე, თუ იგი მომზადებულია ნორმატიული აქტის პროექტის წარდგენის (ინიციატივის) მქონე უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ.

5. ამ მუხლით განსაზღვრული დოკუმენტები ნორმატიული აქტის პროექტს უნდა დაერთოს ნორმატიული აქტის მიღებამდე (გამოცემამდე), თუ იგი მომზადებულია ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ.

მუხლი 20.

1. ნორმატიული აქტი შეიცავს ძირითად ნაწილსა და დასკვნით დებულებებს, საჭიროების შემთხვევაში – აგრეთვე გარდამავალ დებულებებს.

2. ნორმატიულ აქტს შეიძლება ჰქონდეს პრეამბულა. მასში გადმოიცემა ამ ნორმატიული აქტის დანიშნულება და პრინციპები, რომლებიც მას უდევს საფუძვლად. თუ აქტი კანონქვემდებარეა, პრეამბულაში მითითებულ უნდა იქნეს, თუ რომელი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე ან შესასრულებლად გამოიცა იგი. (19. 09. 2007 წ. N263; გაზეთი „აჭარა“, 27. 09. 2007 წ. N135)

3. ნორმატიულ აქტს შეიძლება ჰქონდეს გარდამავალი დებულებები, თუ განსაზღვრული ვადით დგინდება ძირითადისაგან განსხვავებული ნორმები ან თუ ნორმატიული აქტის სრულად ასამოქმედებლად გარკვეული პირობები და დროა საჭირო.

4. ნორმატიული აქტის დასკვნითი დებულებანი შეიცავს იმ ნორმატიული აქტების ჩამონათვალს, რომლებიც ძალას კარგავენ მოცემული ნორმატიული აქტის ამოქმედების მომენტიდან, აქტის ძალაში შესვლის დროსა და მისი მოქმედების ვადას (თუ იგი განსაზღვრული ვადით არის მიღებული ან გამოცემული).

5. თუ ნორმატიულ აქტში შევიდა ცვლილება, ნორმატიული აქტის სრული ტექსტის ოფიციალურად გამოქვეყნებისას უნდა მიეთითოს ასეთი ცვლილების მიღებისა (გამოცემისა) და ძალაში შესვლის თარიღი. (3.07.2012 N №168-უ.ს.რ.ს.)

მუხლი 21.

1. ნორმატიული აქტი შინაარსის მიხედვით შეიძლება დაიყოს კარებად და თავებად. თითოეულ მათგანს უნდა ჰქონდეს სათაური. კარებისა და თავების ნუმერაცია უწყვეტია. ნუმერაციისას გამოიყენება რომაული ციფრები.

2. ნორმატიულ აქტში მუხლების, პუნქტების და ქვეპუნქტების ნუმერაცია (ანბანური თანმიმდევრობა) უწყვეტია. ნუმერაციისას გამოიყენება არაბული ციფრები. თუ მუხლი

რამდენიმე აზრისაგან შედგება, ისინი უწყვეტად არაბული ციფრებით ინომრება და მათ პუნქტები ეწოდება. თუ მუხლის რომელიმე პუნქტი ქვეპუნქტებადაა დაყოფილი, ისინი ანბანურად ინომრება. მუხლს შეიძლება ჰქონდეს სათაური. მუხლის პუნქტი და ქვეპუნქტი უსათაუროა.

3. ნორმატიულ აქტში კარის, თავის, მუხლის, პუნქტის ან ქვეპუნქტის ამოღების ან/და ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში ნორმატიული აქტის ნუმერაციის (ანბანური თანმიმდევრობის) უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით აქტის გამოქვეყნებისას ამოღებული ან ძალადაკარგული კარის, თავის, მუხლის, პუნქტის ან ქვეპუნქტის ადგილას მიეთითება ის ნორმატიული აქტი, რომლითაც კარი, თავი, მუხლი, პუნქტი ან ქვეპუნქტი ამოღებულ იქნა ან ძალადაკარგულად იქნა ცნობილი.

4. ნორმატიულ აქტში კარის, თავის, მუხლის, პუნქტის ან ქვეპუნქტის დამატების შემთხვევაში ნორმატიული აქტის ნუმერაციის (ანბანური თანმიმდევრობის) უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით მიეთითება შესაბამისად წინა კარის, თავის, მუხლის, პუნქტის ან ქვეპუნქტის ნომერი დამატებითი ციფრით (პრიმა კარი, თავი, მუხლი, პუნქტი ან ქვეპუნქტი).

5. ნორმატიული აქტის რომელიმე დებულების მითითება ხდება შემდეგი წესით: უნდა დასახელდეს ნორმატიული აქტის სახე და სათაური, მუხლი, პუნქტი, ქვეპუნქტი, ხოლო თუ აუცილებელია – წინადადებაც.

მუხლი 22.

1. თითოეულ ნორმატიულ აქტს უნდა ჰქონდეს შემდეგი რეკვიზიტები:

ა) ნორმატიული აქტის სახე;

ბ) ნორმატიული აქტის სათაური (ნორმატიული აქტის სათაური უნდა შეესაბამებოდეს მის შინაარსს);

გ) ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) თარიღი და ადგილი (თუ ნორმატიულ აქტში შეტანილია ცვლილება, მისი შეტანის თარიღიც); (3.07.2012 N №168-უ.ს.რ.ს.)

დ) ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის თარიღი და აქტის მოქმედების ვადა (თუ განსაზღვრული ვადითაა მიღებული);

ე) უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა;

ვ) ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი; (15.12.2011 N 150-უ.ს.შ.ს.)

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიულ აქტებზე, სრული სახით გამოსახული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი. (17. 09. 2008 წ. N308; გაზეთი "აჭარა", 20. 09. 2008 წ. N105)

მუხლი 23.

1. კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის პროექტს ამზადებს შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის წარდგენის უფლების მქონე სუბიექტი ან თვით ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) უფლებამოსილების მქონე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანო (თანამდებობის პირი).

2. მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ კანონპროექტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის, აგრეთვე მათში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტების წარდგენის უფლება აქვს მხოლოდ მთავრობის თავმჯდომარეს. უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტის, ასევე უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის

თაობაზე პროექტის წარდგენის უფლება აქვს მხოლოდ უმაღლესი საბჭოს წევრს, უმაღლესი საბჭოს კომისიას ან ფრაქციას. (3.07.2012 N №168-უ.ს.რ.ს.)

3. საკანონმდებლო ინიციატივის ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის წარდგენის უფლების მქონე სუბიექტს ან თვით ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) უფლებამოსილების მქონე ორგანოს (მის სტრუქტურულ ერთეულს) უფლება აქვთ დაუკვეთონ ნორმატიული აქტის პროექტი სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციასა და დაწესებულებას (მათ შორის უცხოეთის დაწესებულებას), ცალკეულ სპეციალისტსა და სპეციალისტთა ჯგუფს (მათ შორის უცხოელებს).

მუხლი 24. ამოღებულია. (17. 03. 2009 წ. N33; გაზეთ “აჭარა”, 19-20. 03. 2009 წ. N31)

მუხლი 25.

1. უმაღლესმა საბჭომ კანონპროექტის განხილვა შეიძლება დაიწყოს მხოლოდ უმაღლესი საბჭოს შესაბამისი კომისიის დასკვნის არსებობისას. კომისიის უარყოფითი დასკვნა არ შეიძლება იყოს დაბრკოლება უმაღლესი საბჭოს მიერ სხდომაზე კანონპროექტის განხილვის დაწყებისას. (17. 09. 2008 წ. N308; გაზეთი “აჭარა”, 20. 09. 2008 წ. N105)

2. კანონპროექტი, რომელიც იწვევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას, უმაღლესმა საბჭომ შეიძლება მიიღოს მხოლოდ მთავრობის თანხმობის შემდეგ, ხოლო მომავალ საფინანსო წელთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული კანონპროექტები _ მთავრობის მიერ უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებული რესპუბლიკური ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების ფარგლებში.

3. უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით განსაზღვრულ შემთხვევებში და რეგლამენტით დადგენილი წესით უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი კანონპროექტი შეიძლება განხილულ და მიღებულ იქნეს დაჩქარებული ან/და გამარტივებული წესით. (15.12.2011 N 150-უ.ს.შ.ს.)

4. დაუშვებელია კონსტიტუციის ან/და კონსტიტუციური კანონის დაჩქარებული ან/და გამარტივებული წესით განხილვა და მიღება. (21. 03. 2007 წ. N240; გაზეთი “აჭარა”, 29. 03. 2007 წ. N49)

5. უმაღლეს საბჭოში მთავრობის თავმჯდომარის (მთავრობის) მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილი კანონპროექტის განხილვისას მომხსენებლად გამოდის მთავრობის თავმჯდომარის (მთავრობის) სათანადო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დანიშნული უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომელიც არ შეიძლება იყოს უმაღლესი საბჭოს წევრი. (19. 09. 2007 წ. N263; გაზეთი “აჭარა”, 27. 09. 2007 წ. N135)

6. უმაღლეს საბჭოში მთავრობის თავმჯდომარის (მთავრობის) მიერ წარდგენილი კანონპროექტი, რომლის რიგარეშე განხილვასაც იგი მოითხოვს, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის კომისიას. კომისია ვალდებულია განიხილოს იგი კომისიის უახლოეს სხდომაზე და გამოიტანოს დასკვნა. უმაღლესი საბჭო კანონპროექტს განიხილავს კომისიის მიერ დასკვნის გამოტანის შემდეგ უახლოეს სხდომაზე. (17. 09. 2008 წ. N308; გაზეთი “აჭარა”, 20. 09. 2008 წ. N105)

7. მთავრობის თავმჯდომარე უფლებამოსილია კანონპროექტს დადგენილ ვადაში ხელი არ მოაწეროს და მოტივირებული შენიშვნებით იგი დაუბრუნოს უმაღლეს საბჭოს. ასეთ შემთხვევაში მთავრობის თავმჯდომარის წარმოდგენილ ყველა შენიშვნას ერთიანად უნდა ეყაროს კენჭი. დაუშვებელია უმაღლესი საბჭოს მიერ მთავრობის თავმჯდომარის შენიშვნებში ცვლილებების შეტანა. მთავრობის თავმჯდომარის მოტივირებული შენიშვნები ჩამოყალიბებული უნდა იყოს კანონპროექტის სახით.

მუხლი 26 (3.07.2012 N №168-უ.ს.რ.ს.)

1. ნორმატიულ აქტში ცვლილების (ცვლილების (ცვლილებების) ან/და დამატების (დამატებების)) შეტანა ხდება მხოლოდ იმავე სახის ნორმატიული აქტით. იგი იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც შეტანილ იქნა ცვლილება.

1¹. თუ კანონპროექტი იწვევს სხვა საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანას, მას უნდა დაერთოს შესაბამისი პროექტი ამ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ და ისინი წარდგენილი უნდა იქნეს საკანონმდებლო პაკეტის სახით. (16.05.2013 N 55-უ.ს.გ.ს.)

2. ნორმატიულ აქტში ცვლილების მომზადება, მიღება (გამოცემა) და ძალაში შესვლა ხდება იმ ნორმატიული აქტის მომზადების, მიღებისა (გამოცემისა) და ამოქმედებისათვის დადგენილი წესით, რომელშიც შედის ეს ცვლილება.

3. ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე ნორმატიული აქტის პროექტში მითითებული უნდა იყოს მონაცემები იმ ნორმატიული აქტის შესახებ, რომელშიც შედის ეს ცვლილება. კერძოდ, ნორმატიული აქტის სათაური, „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდი, ნორმატიული აქტის გამოქვეყნების თარიღი და სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი.

4. ნორმატიულ აქტში სიტყვის (სიტყვების) ან რიცხვის (რიცხვების) შეცვლის, ამოღების ან დამატების შემთხვევაში ნორმატიული აქტის პროექტი უნდა შეიცავდეს შესაბამისი პუნქტის (ნაწილის), ქვეპუნქტის სრულ რედაქციას სათანადო ცვლილების გათვალისწინებით. (16.05.2013 N 55-უ.ს.გ.ს.)

მუხლი 27.

1. საკანონმდებლო აქტის მიღების თარიღად ითვლება უმაღლესი საბჭოს მიერ მისი საბოლოო რედაქციით მიღების დღე.

2. სხვა ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) თარიღად ჩაითვლება უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მისი ხელმოწერის დღე (15.12.2011 N 150-უ.ს.შ.ს.)

3. ამოღებულია (15.12.2011 N 150-უ.ს.შ.ს.)

მუხლი 28.

1. კონსტიტუცია და კონსტიტუციური კანონი მიიღება უმაღლესი საბჭოს მიერ სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით.

2. უმაღლეს საბჭოში კანონპროექტი ან დადგენილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული კანონპროექტის ან დადგენილების მიღების სხვა წესი.

3. უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მომზადება და მიღება ხდება კანონის მომზადებისა და მიღებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად, სამი მოსმენით.

4. მთავრობის დადგენილება მიიღება მთავრობის სხდომაზე, მთავრობის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა. (19. 09. 2007 წ. N263; გაზეთი „აჭარა“, 27. 09. 2007 წ. N135)

5. უმაღლესი საარჩევნო კომისია დადგენილებას ღებულობს კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა.

მუხლი 29.

1. უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონპროექტი 5 დღის ვადაში, წამყვანი კომისიის თავმჯდომარის (მისი არყოფნის შემთხვევაში – მოადგილის), კომისიის აპარატის პასუხისმგებელი პირის, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული, საკადრო და საქმისწარმოების და საორგანიზაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტების მიერ ვიზირებისა და სხდომის თავმჯდომარის ხელმოწერის შემდეგ გადაეცემა მთავრობის თავმჯდომარეს. (17. 09. 2008 წ. N308; გაზეთი „აჭარა“, 20. 09. 2008 წ. N105)

2. მთავრობის თავმჯდომარე 10 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს უმაღლეს საბჭოს. (17. 09. 2008 წ. N308; გაზეთი „აჭარა“, 20. 09. 2008 წ. N105)

3. თუ მთავრობის თავმჯდომარე დააბრუნებს კანონპროექტს, უმაღლესი საბჭო კენჭს უყრის მთავრობის თავმჯდომარის შენიშვნებს. შენიშვნათა მისაღებად საკმარისია ხმათა იგივე რაოდენობა, რაც კანონპროექტისთვის ამ კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტითაა დადგენილი. იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესმა საბჭომ მიიღო მთავრობის თავმჯდომარის შენიშვნები, მთავრობის თავმჯდომარე ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს მისთვის გადაცემიდან 5 დღის ვადაში. (19. 09. 2007 წ. N263; გაზეთი „აჭარა“, 27. 09. 2007 წ. N135)

4. თუ უმაღლესმა საბჭომ არ მიიღო მთავრობის თავმჯდომარის შენიშვნები, კენჭი ეყრება კანონის პირვანდელ რედაქციას. კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენ-ლობის არანაკლებ სამმა მეხუთედმა. (21. 03. 2007 წ. N240; გაზეთი „აჭარა“, 29. 03. 2007 წ. N49)

5. თუ ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში კანონპროექტი კენჭისყრის შედეგად ვერ მიიღებს ხმების საჭირო რაოდენობას, იგი უარყოფილად ითვლება და უმაღლეს საბჭოს შეუძლია მომდევნო მორიგ სესიაზე, მთავრობის თავმჯდომარესთან კონსულტაციების შემდეგ, დადგენილი წესით, ხელახლა განიხილოს და მიიღოს იგივე ან ალტერნატიული კანონპროექტი.

6. თუ მთავრობის თავმჯდომარემ დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, მას 5 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 30 (10.08.2010 N82 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან.)

1. ნორმატიული აქტის ოფიციალურ (იურიდიული ძალის მქონე) გამოქვეყნებად ითვლება მისი სრული ტექსტის „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე პირველად გამოქვეყნება. ოფიციალური იურიდიული ძალა აქვს აგრეთვე „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე ელექტრონული ფორმით განთავსებულ სისტემატიზებულ ნორმატიულ აქტებს.

2. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ ნორმატიული აქტის გამოქვეყნებისა და მომსახურების საფასურის ოდენობა, ასევე გადახდის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები ქვეყნდება საქართველოს კონსტიტუციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და ამ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტები (გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ნორმატიული აქტებისა) „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ უნდა გადაეცეს და უნდა გამოქვეყნდეს მათი მიღებიდან (ხელმოწერიდან) 10 დღის ვადაში.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ნორმატიული აქტი „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ უნდა გადაეცეს და უნდა გამოქვეყნდეს მისი მიღებიდან არა უგვიანეს მე-2 დღისა.

6. ნორმატიული აქტი „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ გამოსაქვეყნებლად უნდა წარედგინოს უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ციფრული ხელმოწერით დამოწმებული, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – ბეჭდური (უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ ხელმოწერილი) და ელექტრონული ფორმით.

7. ნორმატიული აქტის გამოქვეყნებაზე უარი უნდა ითქვას, თუ ნორმატიული აქტი გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილია “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, მე-4 მუხლის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის, 27-ე მუხლისა და “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ამ მუხლის მე-3_მე-6 პუნქტების მოთხოვნათა დარღვევით.

8. ნორმატიული აქტის გამოქვეყნებაზე უარი არ არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მის მიმართ არ გამოიყენება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოება.

მუხლი 31.

1. ნორმატიული აქტი ძალაში შედის მხოლოდ კანონით დადგენილი წესით გამოქვეყნების შემდეგ.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტი (გარდა კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონისა) ძალაში შედის, მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-10 დღეს, თუ თვით ამ საკანონმდებლო აქტით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი. (21. 03. 2007 წ. N240; გაზეთი “აჭარა”, 29. 03. 2007 წ. N49)

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და უმაღლესი საარჩევნო კომისიის დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, თუ იმავე დადგენილებით სხვა ვადა არ იქნა განსაზღვრული.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება და მინისტრის ბრძანება, რომელიც ნორმატიული ხასიათისაა, ძალაში შედის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში მისი გამოქვეყნებისთანავე, თუ იმავე ნორმატიული აქტით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება და მინისტრის ბრძანება, რომელიც არანორმატიული ხასიათისაა, ძალაში შედის უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მისი ხელმოწერისთანავე, თუ იმავე სამართლებრივი აქტით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი.

მუხლი 32.

1. ნორმატიული აქტი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე – ნიშნავს, რომ ნორმატიული აქტი ძალაში შედის გამოქვეყნების დღეს, 24 საათზე.

2. ნორმატიული აქტით შეიძლება დადგინდეს ამ აქტის ცალკეული კარის, თავის, მუხლის, პუნქტის (ქვეპუნქტის) ძალაში შესვლის განსაკუთრებული თარიღი.

3. ნორმატიულ აქტს უკუქცევითი ძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის განსაზღვრული ამ ნორმატიული აქტით.

მუხლი 33.

1. ნორმატიული აქტი მოქმედებს უვადოდ, თუ თვით ამ ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიძლება მიღებულ (გამოცემულ) იქნეს განსაზღვრული ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი

ძალადაკარგულად ჩაითვლება, თუ ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანო ასეთი ნორმატიული აქტის მიღებისათვის (გამოცემისათვის) დადგენილი წესით არ მიიღებს გადაწყვეტილებას ვადის გაგრძელების შესახებ.

3. ნორმატიული აქტის ამოქმედების ვადის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ ამ ვადის დადგომამდე. (10.08.2010 N82)

მუხლი 34.

1. საკანონმდებლო აქტს აქვს პირდაპირი მოქმედების ძალა, მიუხედავად იმისა, მიღებულია (გამოცემულია) თუ არა მის საფუძველზე ან მის შესასრულებლად კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, თუ თვით საკანონმდებლო აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. დაუშვებელია საკანონმდებლო აქტით დადგენილი ნორმის განხორციელებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ მის შესასრულებლად მიღებული (გამოცემული) არ არის შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, თუ იმავე საკანონმდებლო აქტით ეს არ არის დადგენილი.

მუხლი 35.

1. ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს იმ შემთხვევებში, თუ:

ა) გავიდა ვადა, რომლითაც იგი იქნა მიღებული (გამოცემული);

ბ) ძალაში შევიდა ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს;

გ) უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მიღებულია (გამოცემულია) ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტის მიხედვით იწვევს მისი იურიდიული ძალის დაკარგვას.

2. არ შეიძლება რომელიმე ნორმატიული აქტით უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება.

3. იმ ნორმატიული აქტის (მისი ნაწილის) გაუქმება, რომლითაც გაუქმდა ძველი ნორმატიული აქტი (ან ცვლილება შევიდა ძველ ნორმატიულ აქტში), არ ნიშნავს ძველი ნორმატიული აქტის (შეცვლამდე არსებული დებულების, ნორმის) ამოქმედებას.

4. ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს მის საფუძველზე ან მის შესასრულებლად მიღებული (გამოცემული) ყველა ნორმატიული აქტი ან ნორმატიული აქტის შესაბამისი ნაწილი.

5. იურიდიული ძალა არა აქვს ძალადაკარგულად გამოცხადებული საკანონმდებლო აქტის საფუძველზე მიღებულ (გამოცემულ) კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი გამოცხადებული ძალადაკარგულად.

მუხლი 36.

1. დაუშვებელია ნორმატიული აქტის მიღება (გამოცემა) კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით, აგრეთვე ნორმატიული აქტის შესასრულებლად სათანადო ზომების მიუღებლობა ან დაბრკოლებათა შექმნა.

2. თუ ნორმატიული აქტი მიღებულია (გამოცემულია) საკითხზე, რომელიც კანონმდებლობის თანახმად განეკუთვნება სახელმწიფო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების სხვა ორგანოს (თანამდებობის პირის) უფლებამოსილებას, ან მიღებულია ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით, ან დარღვეულია შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღებისა (გამოცემისა) და ამოქმედებისათვის დადგენილი პროცედურა, ნორმატიულ აქტს არა აქვს იურიდიული ძალა. (21. 03. 2007 წ. N244; გაზეთი "აჭარა", 29. 03. 2007 წ. N49)

3. ამ მუხლში აღნიშნულ საკითხებს განიხილავენ და წყვეტენ ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანოები (თანამდებობის პირები), მათი ზემდგომი ორგანოები (თანამდებობის პირები), საკონსტიტუციო სასამართლო და საერთო სასამართლოები მათი უფლებამოსილების ფარგლებში.

4. ამოღებულია. (17. 03. 2009 წ. N33; გაზეთ “აჭარა”, 19-20. 03. 2009 წ. N31)

5. ამოღებულია. (17. 03. 2009 წ. N33; გაზეთ “აჭარა”, 19-20. 03. 2009 წ. N31)

მუხლი 37 (15.12.2011 N 150–უ.ს.შ.ს.)

ამ კანონში მითითებული ვადების ათვლისას, გარდა ნორმატიული აქტის ძალაში შესვლისათვის დადგენილი ვადისა, არ ჩაითვლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები.

თ ა ვ ი IV.

ნორმატიული აქტების აღრიცხვა და სისტემატიზაცია

მუხლი 38 (10.08.2010 N82)

1. ნორმატიული აქტების სახელმწიფო აღრიცხვასა და სისტემატიზაციას, აგრეთვე მათ საჯაროობას უზრუნველყოფს “საქართველოს საკანონმდებლო მაცნე”, რომელსაც ნორმატიული აქტები შეაქვს საქართველოს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში (შემდგომში – სახელმწიფო რეესტრი).

2. სახელმწიფო რეესტრში შეიტანება ყველა ნორმატიული აქტი.

3. სახელმწიფო რეესტრში ნორმატიული აქტების სარეგისტრაციოდ წარდგენის, ასევე ნორმატიული აქტის რეგისტრაციაზე უარის თქმის წესი და პირობები, განისაზღვრება კანონმდებლობით.

მუხლი 39. ამოღებულია (10.08.2010 N82)

მუხლი 40. ამოღებულია (10.08.2010 N82)

თ ა ვ ი V.

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 41.

1. ამოღებულია. (17. 03. 2009 წ. N33; გაზეთ “აჭარა”, 19-20. 03. 2009 წ. N31)

2. ამოღებულია. (17. 03. 2009 წ. N33; გაზეთ “აჭარა”, 19-20. 03. 2009 წ. N31)

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების (თანამდებობის პირების) მიერ 2004 წლის 6 მაისიდან ამ კანონის ძალაში შესვლამდე მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტები სახელმწიფო რეესტრში შეტანისა და სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდის მინიჭების შემდეგ ჩაითვალოს ამ კანონით დადგენილი წესით მიღებულად.

4. ნორმატიული აქტების მიმღები (გამომცემი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ყველა ორგანო და თანამდებობის პირი ვალდებულია უზრუნველყოს ამ კანონის ძალაში შესვლამდე მიღებული (გამოცემული) და მოქმედი შესაბამისი ნორმატიული აქტების შინაარსის უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანა ამ კანონის ძალაში შესვლიდან 6 თვის ვადაში.

5. ამოღებულია (10.08.2010 N82)

6. ამოღებულია. (05. 08. 2005 წ. N24; გაზეთი “აჭარა”, 17. 08. 2005 წ. N154)

მუხლი 41¹. 2011 წლის 1 იანვრამდე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების რეგისტრაციის, გამოქვეყნებისა და გამოქვეყნებაზე უარის თქმის დროებითი წესი (10.08.2010 N82)

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტის ოფიციალურ (იურიდიული ძალის მქონე) გამოქვეყნებად ითვლება მისი სრული ტექსტის პირველად გამოქვეყნება ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში – “საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში”.

2. “საქართველოს საკანონმდებლო მაცნე” ნორმატიულ აქტს არეგისტრირებს სახელმწიფო რეესტრში და აქვეყნებს მისთვის გადაცემიდან 5 დღის ვადაში. ერთობლივი ნორმატიული აქტი, რომელიც უფლებამოსილი თანამდებობის პირების მიერ ხელმოწერილია სხვადასხვა დღეს, “საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს” გამოსაქვეყნებლად გადაეცემა ბოლო ხელმოწერიდან 3 დღის ვადაში. ერთობლივ ნორმატიულ აქტზე უფლებამოსილი თანამდებობის პირების ხელმოწერის დღეებს შორის სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს 3 დღეს.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები ქვეყნდება საქართველოს კონსტიტუციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, საქართველოს კანონითა და ამ კანონით დადგენილი წესით.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტები (გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ნორმატიული აქტებისა) „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ უნდა გადაეცეს და უნდა გამოქვეყნდეს მათი მიღებიდან (ხელმოწერიდან) 10 დღის ვადაში.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ნორმატიული აქტი „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ უნდა გადაეცეს და უნდა გამოქვეყნდეს მისი მიღებიდან არა უგვიანეს მეორე დღისა.

6. ნორმატიული აქტი „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ გამოსაქვეყნებლად უნდა გაეგზავნოს ბეჭდვითი ფორმით, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად, ერთ ეგზემპლარად, აკინძული და უფლებამოსილი პირის მიერ ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული. ნორმატიული აქტის ბეჭდვითი ფორმით გაგზავნამდე შესაძლებელია მისი ელექტრონული ასლის სახით გაგზავნა შესაბამის ელექტრონულ ვერსიასთან ერთად. ამ შემთხვევაში გამგზავნი პასუხისმგებელია ელექტრონული ასლისა და ბეჭდვითი ფორმის ნორმატიული აქტის ურთიერთშესაბამისობისთვის. ნორმატიული აქტის ელექტრონული ასლის სახით გაგზავნის შემთხვევაში გამგზავნი ვალდებულია 30 დღის ვადაში გადასცეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ბეჭდვითი ფორმის ნორმატიული აქტი.

7. “საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში” ნორმატიული აქტის გამოქვეყნებისა და მომსახურების საფასურის ოდენობა, ასევე გადახდის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

8. ნორმატიული აქტის გამოქვეყნებაზე უარი უნდა ითქვას, თუ ნორმატიული აქტი გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილია “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, მე-4 მუხლის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის, 30-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებისა და 31-ე მუხლის, ასევე “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ამ მუხლის პირველი_მე-6 პუნქტების მოთხოვნათა დარღვევით.

9. ნორმატიული აქტის გამოქვეყნებაზე უარი არ არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მის მიმართ არ გამოიყენება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოება.

მუხლი 41². მონაცემები 2011 წლის 1 იანვრამდე გამოქვეყნებული ნორმატიული აქტის შესახებ (3.07.2012 N №168-უ.ს.რ.ს.)

2011 წლის 1 იანვრამდე გამოქვეყნებულ ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე ნორმატიული აქტის პროექტში მითითებული უნდა იყოს მონაცემები იმ ნორმატიული აქტის შესახებ, რომელშიც შეიტანება ეს ცვლილება. კერძოდ, ნორმატიული აქტის სათაური, იმ ოფიციალური გამოქვეყნების ორგანოს სახელწოდება, რომელშიც აღნიშნული ნორმატიული აქტია გამოქვეყნებული, აქტის გამოქვეყნების თარიღი.

მუხლი 42.

1. ეს კანონი ამოქმედდეს 2005 წლის 1 იანვრიდან.

2. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 1998 წლის 20 მარტის კანონი (გაზეთი „აჭარა“, 1998 წლის 31 მარტი).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

ლევან ვარშალომიძე

ბათუმი,
2004 წლის 16 დეკემბერი
N124